ხელშეკრულება N 2022 / 10 / 140
სახელმწიფო შესყიდვის შესახებ
(გამარტივებული შესყიდვა)

ქ. თბილისი 03 ივნისი, 2022 წ.

სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო, შემდგომში წოდებული „ შემსყიდველად", წარმოდგენილი შესყიდვების სამსახურის უფროსის **ლანა ჯიბლაძის** სახით და **შპს "ნიუტონი"** შემდგომში წოდებული „მიმწოდებლად", წარმოდგენილი დირექტორის გიორგი ჯაფარიძის სახით, ორივე ერთად წოდებული როგორც ,,მხარეები", ვმოქმედებთ რა საქართველოს კანონმდებლობისა და ,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ", კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ს[1]" საფუძველზე, 2022 წლის 31 მაისის #162065/17 მოხსენებითი ბარათების გათვალისწინებით, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას:

1. გამოყენებული ტერმინების განმარტებები

ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვს შემდეგი მნიშვნელობა:

1.1 „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" (შემდგომში – „ხელშეკრულება") – შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომელზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები.

1.2 „ხელშეკრულების ღირებულება" - საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის.

1.3 „დღე", „კვირა", „თვე" - კალენდარული დღე, კვირა, თვე.

1.4 „შემსყიდველი" - ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას.

1.5 „მიმწოდებელი" - პირი, რომელიც ახორციელებს საქონლის მიწოდებას ამ ხელშეკრულების ფარგლებში.

1.6 „საქონელი" – ფასთა ცხრილით გათვალისწინებული საქონელი.

1.7 'ფასთა ცხრილი" – მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი ფასთა ცხრილი.

1.8 „ინსპექტირება" - ხელშეკრულების შესრულების კონტროლი და ზედამხედველობა.

2. **ხელშეკრულების საგანი**

- ბრენდირებული კეპები 35 (ოცდათხუთმეტი) ცალის შესყიდვა **(CPV- 18400000** -სპეციალური ტანსაცმელი აქსესუარები)

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1 ხელშეკრულების ღირებულება განისაზღვრება 525 (ოთხასორმოცდათხუთმეტი) ლარად.

3.2 ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს როგორც საქონლის ღირებულებას, ასევე წინამდებარე ხელშეკრულების შესრულებასთან დაკავშირებით მიმწოდებლის მიერ გაწეულ ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს.

4. მხარეთა ვალდებულებები

4.1 მიმწოდებელი ვალდებულია:

ა) გათვალისწინებული საქონლის მიწოდება უზრუნველყოს 2022 წლის 08 ივნისამდე მისამართზე: ქ. თბილისი, ვ.გორგასლის N22.

ბ) განიხილოს შემსყიდველის პრეტენზიები და მიაწოდოს მოტივირებული პასუხი ყველა საკითხზე დაუყოვნებლივ;

გ) განახორციელოს ამ ხელშეკრულებით მასზე დაკისრებული სხვა ვალდებულებები.

4.2 შემსყიდველი ვალდებულია:

ა) უზრუნველყოს ინსპექტირების განხორციელება;

ბ) განახორციელოს ამ ხელშეკრულებით მასზე დაკისრებული სხვა ვალდებულებები.

5. ინსპექტირება

5.1 შემსყიდველი უფლებამოსილია ჩაატაროს ინსპექტირება, რისთვისაც გამოყოფს უფლებამოსილ პირს/პირებს, ხოლო მიმწოდებელი ვალდებულია ხელი შეუწყოს მას/მათ ინსპექტირების განხორციელების დროს.

5.2 ინსპექტირებას განახორციელებს შემსყიდველ ორგანიზაციის სამეურნეო სამსახურის თანამშრომელი.

5.3 შემსყიდველის მიერ ინსპექტირება განხორციელდება ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე.

5.4 საქონლის მიღება–ჩაბარების აქტის გაფორმებამდე, შემსყიდველის შესაბამისი წარმომადგენელი უფლებამოსილია ჩაატაროს ტექნიკური და ხარისხის კონტროლი და თუ საქონელს აღმოაჩნდება წუნი, მიმწოდებელი ვალდებულია, საკუთარი ხარჯებით, შემსყიდველის მოთხოვნიდან

3 სამუშაო დღეში, აღმოფხვრას წუნი წუნდებული საქონლის ახალი საქონლით ჩანაცვლებით.

6. საქონლის მიღება-ჩაბარების წესი

საქონლის მიღება წარმოებს მიღება-ჩაბარების აქტის სახით. მიღება-ჩაბარების აქტი ფორმდება წერილობითი ფორმით, მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერით, ინსპექტირების განმახორციელებელი პირის/პირების დადებითი დასკვნის საფუძველზე.

7.ანგარიშსწორება

7.1 ანგარიშსწორება განხორციელდება შემდეგი პირობებით:

ა) ანგარიშსწორების ვალუტა -ლარი;

ბ) ანგარიშსწორების ფორმა – უნაღდო, წინამდებარე ხელშეკრულებაში მითითებული მიმწოდებლის საბანკო რეკვიზიტების შესაბამისად.

გ) დაფინანსების წყარო: სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2022 წლის საკუთარი შემოსავლებით მიღებული სახსრები.

7.2 შემსყიდველი იღებს ვალდებულებას გადაუხადოს მიმწოდებელს მიღებული საქონლის ღირებულება მიღებაჩაბარების აქტის, წარმოდგენილი სასაქონლო ზედნადების და თუ მიმწოდებელი დღგ-ს გადამხდელია, საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის, ხოლო თუ მიმწოდებელი არ არის დღგ-ს გადამხდელი, შემოსავლების სამსახურიდან წარმოდგენილი შესაბამისი ცნობის საფუძველზე, მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 10 სამუშაო დღეში.

8. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

8.1 თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ შესაძლო უმოკლეს ვადაში უნდა აცნობოს მეორე მხარეს მის მიერ მიღებული გადაწყვეტილება აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით.

8.2 იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო, მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის გზით, ხელშეკრულების მე-10 მუხლის შესაბამისად.

9. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

9.1. მხარეები პასუხს აგებენ ერთმანეთის წინაშე მათ მიერ ამ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულებისათვის საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

9.2. თუ ერთი-ერთი მხარე არ ასრულებს ხელშეკრულების საგანთან დაკავშირებულ ვალდებულებას, მეორე მხარე წერილობითი ფორმით უწესებს დამატებით ვადას ან აფრთხილებს მას. თუ დამატებით ვადაში ან მიუხედავად გაფრთხილებისა მხარე კვლავ არ ასრულებს ან არსებითად არღვევს მის მიერ ნაკისრ ვალდებულებას, დაზარალებულ მხარეს უფლება აქვს ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულების მოქმედება.

9.3. წინამდებარე ხელშეკრულების 4.1 პუნქტის „ ა“ ქვეპუნქტით განსაზღვრული, მიწოდების ვადების გადაცილების შემთხვევაში, მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ვადაგადაცილებით მიწოდებული საქონლის ღირებულების 0.1%-ის ოდენობით. მიწოდების ვადაში არ შედის წუნის აღმოსაფხვრელად მიმწოდებლის მიერ შემსყიდველისთვის დაწესებული 5.4 პუნქტით განსაზღვრული ვადა, ასევე, ისპექტირების განხორციელებისათვის და მიღება–ჩაბარების აქტის გაფორმებისათვის გახარჯული დრო.

9.4 წინამდებარე ხელშეკრულების 5.4 პუნქტით განსაზღვრული ვადების დარღვევის შემთხვევაში, მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე წუნდებული საქონლის ღირებულების 0.1%-ის ოდენობით.

9.5 წინამდებარე ხელშეკრულების 7.2 პუნქტით განსაზღვრული გადახდის ვადის გადაცილების შემთხვევაში, მიმწოდებელი უფლებამოსილია დააკისროს შემსყიდველს პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე გადასახდელი თანხის 0,1%-ის ოდენობით.

9.6 თუ მიმწოდებლისთვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 0.5 (ნული მთელი ხუთი) % , შემსყიდველი იტოვებს უფლებას შეწყვიტოს ხელშეკრულება და მიმწოდებელს ხელშეკრულების არაჯეროვანი შესრულებისათვის დააკისროს პირგასამტეხლო ხელშეკრულების ღირებულების 10%-ის ოდენობით.

9.7 პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

10. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

10.1 ნებისმიერი ცვლილება წინამდებარე ხელშეკრულებაში განხორციელდება წერილობით, ორივე მხარის უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერით.

10.2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

11. დავების გადაწყვეტა

11.1 ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეთა შორის წარმოქმნილი უთანხმოება წყდება მოლაპარაკებების გზით.

11.2 თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 5 (ხუთი) დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია მიმართოს საქართველოს სასამართლოს კანონით დადგენილი წესით.

12. ხელშეკრულების შეწყვეტა

12.1 თითოეული მხარე უფლებამოსილია შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედება, თუ მეორე მხარე ვერ უზრუნველყოფს თავისი ვალდებულებების ჯეროვან შესრულებას, ან მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ სხვა შემთხვევებში.

12.2 ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მხარეებს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.

12.3 ხელშეკრულება აგრეთვე შეიძლება შეწყდეს მხარეთა წერილობითი შეთანხმების საფუძველზე.

13. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის მისი ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2022 წლის 08 ივლისის ჩათვლით.

14. ფორს-მაჟორი

14.1 წინამდებარე ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა გამოწვეულია ფორს-მაჟორული მდგომარეობით.

14.2 ამ მუხლის მიზნებისათვის `ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებულნი შემსყიდველის ან/და მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან, და რომლებსაც გააჩნიათ წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნეს ომით ან სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

14.3 მხარემ, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება, დაუყოვნებლივ წერილობით უნდა აცნობოს მეორე მხარეს შექმნილი გარემოების და მისი სავარაუდო აღმოფხვრის ვადის შესახებ, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი არ თავისუფლდება ხელშეკრულების პირობების სრული ან ნაწილობრივი შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისგან.

15. სხვა პირობები

ხელშეკრულება შედგენილია ელექტრონულად, ქართულ ენაზე

16. მხარეთა რეკვიზიტები

შემსყიდველი

სსიპ საჯარო რეესტრ ის ეროვნული სააგენტო, წარმოდგენილი შესყიდვების სამსახურის უფროსის ლანა ჯიბლაძის სახით.

მისამართი: თბილისი, ვახტანგ გორგასლის ქ. #22
ტელეფონი: 291-05-17,
საბანკო რეკვიზიტები: ანგ: ხაზინის ერთიანი ანგარიში, GE24NB0330100200165022
ბანკის კოდი: TRESGE22;
სახაზინო კოდი: 707427078
ს/კ – 202238621

მიმწოდებელი

შპს „ნიუტონი " , წარმოდგენილი დირექტორის, გიორგი ჯაფარიძის სახით.

მისამართი: თბილისი, ხუდადოვის 3
ტელეფონი: 599657722
ელ-ფოსტა: info@newtone.ge
საბანკო რეკვიზიტები: ანგ. #GE76BG0000000723038800 სს „საქართველოს ბანკი",
ბანკის კოდი: BAGAGE22 ,
ს/კ – 402031430

Giorgi Japharidze 01030008651

Digitally signed by Giorgi Japharidze
Date: 2022.06.03 17:57:44

დანართი N1

N	**დასახელება და ტექნიკური მახასიათებლები**	**რაოდენობა (ცალი)**	**ერთეულის ღირებულება (ლარი)**	**სულ ღირებულება (ლარი)**	**ვიზუალური ილუსტრაცია**
1	ბრენდირებული კეპი ხუთ ნაწილიანი, უკანა მხარეს მარეგულირებლით ტექ: შესაკრავზე, წინაფრა დაფარული ძირითადი ქსოვილით, რომელიც გაფორმებულია ოთხი პარალელური გვირისტით. კეპის ცენტრალურ ნაწილში ზედა მხარეს გაფორმებულია ღილით. საშუბლე ნაწილზე შესრულებული წარწერა ,,საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო'' და ლოგო; ქსოვილი: 80% კოტონი, 20 % პოლიესტერი; ფერი **რუხი ვიზუალური ილუსტრაციის შესაბამისი. ლოგოს ზომები შემსყიდველთან შეთანხმებით.**	35	15	525	
	სულ			525	

ხელწერილი ინტერესთა კონფლიქტის შესახებ
2022 წლის 03 ივნისი

ვადასტურებ, რომ „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის თანახმად, ბტრნდირებული კეპების შესყიდვასთან დაკავშირებით გასაფორმებელ ხელშეკრულებაში **შპს „ნიუტონთან “** ინტერესთა კონფლიქტში არ ვიმყოფები.

სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს შესყიდვების სამსახურის უფროსი ლანა ჯიბლაძე

ლანა ჯიბლაძე